ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# წითელი არმიელი

1923 სექტემბერი 9 კვირა

მზე ამ. 5 ს. 13 წ. მზე ჩავ. 7 ს. 18 წ.

შესან. მოვლენათა დღიური

1917 წ. კორნილოვის აჯანყება.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი ტფილისი სასახლის ქ. № 5 (ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)

რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 362 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 362

## 5 წლის თავი.

დღეს შესრულდა ხუთი წელი კავკასიის წითელ დროშიანი ცალკე არმიის ორგანოს „კრასნი ვოინი“-ს დაარსების დღიდან.

ეს გაზეთი ერთ-ერთი ძველი გაზეთთაგანია რუსეთის წითელ არმიაში. მან დაიწყო გამოსვლა საშინელ პირობებში. მეთერთმეტე არმიის, დღევანდელ კ. წით. დროშ. ცალკე ლაშქრის, ორგანიზაციის რამოდენიმე დღის შემდეგ, ასტრახანის ცხელ ქვიშიან, დაუსახლებელ ადგილებში იწყო გამოსვლა გაზეთმა „კრასნი ვოინმა“. რა აუტანელ და საშინელ პირობებში უხდებოდათ მის დამაარსებლებს და ხელმძღვანელებს მუშაობა. წარმოუდგენელ გაჭირვებაში სცემდენ გაზეთს. მატერიალურ საშუალებების კრიზისი, ქაღალდის, სტამბის და სხვა მრავალ საჭირო მოთხოვნილების უქონლობა — აი როგორ პირობებში გამოდიოდა აღნიშნული გაზეთი. ამას ისიც მივუმატოთ, თუ როგორ ძნელი იყო პირველ ხანებში გამოუცდელ სამხედრო მუშაკებისათვის ჯარის აღზრდა ახალ საფუძვლებზე და მათი მომზადება ახალ ცხოვრებისათვის.

მიუხედავათ ასეთ პირობებისა, გაზეთმა მაინც შეძლო თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება და ის გადაიქცა რუსეთის წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო სამხედრო ორგანოთ.

კავკასიის ცალკე არმიის მოღვაწეობაზე და მის. როლზე საბჭოთა რუსეთის მტრების განადგურებაში და ამიერ-კავკასიის ერთა განთავისუფლების საქმეზე, ბევრი თქმულა და დაწერილა. 14 აგვისტოს ჩვენ ვიდღესასწაულეთ სახელოვან კავ. ცალკე არმიის არსებობის ხუთი წლის თავი. დიადია საქმე, კავკასიის ცალკე არმიის მიერ შესრულებული. ამ საქმეში დიდი წილი უდევს მის გაზეთ „კრასნი ვოინ“-საც. ეს გაზეთი სარკეა კავ. ცალკე არმიის, მისი ცხოვრების, სულისკვეთების და მისწრაფების გამომხატველია.

„კრასნი ვოინმა“ აღზარდა კ. ც. არმიის წითელი არმიელები. ის თავგამოდებით იბრძოდა წითელი არმიის გაცვითცნობიერებისათვის, მათ კულტურულ დონის ამაღლებისათვის, არც ერთი დიდი თუ პატარა ნაკლი არმიის ცხოვრებისა მას უყურადღებოთ არ დაუტოვებია. ყოველ წუთში საკდილობდა არმიის გაჯანსაღებას და ეს ამოცანა მან რამდენიმეთ შეასრულა კიდეც. შინაურ ცხოვრების გარდა, გაზეთი აწვდიდა წითელ არმიელებს შესაფერ ცნობებს და მასალებს საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე,—ეროვნულ საკითხზე, ჩვენი მეურნეობის და ფინანსების მდგომარეობაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე და მუშათა მოძრაობაზე და სხვ. არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა უყურადღებოდ არ დარჩენია გაზეთს და ყოველგვარ მდგომარეობას შესაფერად აფასებდა.

ასეთია ღვაწლი გაზეთ „კრასნი ვოინის“ წითელი არმიის განმტკიცების და გათვითცნობიერების საქმეში.

დღეს შესრულდა ხუთი წელი აღნიშნულ გაზეთის დაარსების დღიდან. ამ დღეს ჩვენი წითელი ჯარის ორგანო ულოცავს გაზ. „კრასნი ვოინს“ და უსურვებს მას მედგარ და შეუდრეკელ წინსვლას და განვითარებას წითელი არმიის საკეთილდღეოდ.

**„წითელი არმიელი“ მხურვალედ და აღფრთოვანებით ესალმება თავის უფროსს თ. ნამუიარალე ძმას „კრასნი ვოინს“, მისი ბრწყინვალე ხუთი წლის იუბილეს დღეს. მძიმე და ძნელი იყო „კრასნი ვოინის“ ხუთწლიანი გზა, მაგრამ გადაუვალ სახელით და რაინდობით არის ის მოფენილი. დეე, მომავალშიც თავისი მხურვალე სტრიქონებით „კრასნი ვოინი“ აღაფრთოვანებდეს ცალკე კავკასიის წითელ დროშიან არმიის მეომართა გულს რევოლიუციონური ცეცხლით შრომის სრულ გამარჯვებამდე კაპიტალზე.**

**გაუმარჯოს „კრასნი ვოინს!“**

„წით. არმ.“ რედაქცია.

## ჩვენი გაზეთი უნდა გავრცელდეს.

გაზ. „წით. არმიელის“ 360. ნომერში იყო მოთავსებული ამხ. ერმას წერილი ჩვენი გაზეთის გავრცელების შესახებ. ამხ. სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენმა მუშამ და გლეხმა არ იცის ჩვენი გაზეთის არსებობა. დღემდის ჩვენი გაზეთი მხოლოდ ქართული დივიზიისათვის არსებობდა რასაკვირველია ამისათვის საჭირო არც პირობები და არც თანხა არ ყოფილა რომ გაზეთი დღემდის ფართე მასებში გავრცელებულიყო, მაგრამ ამ ჟამად მე მგონია, რომ არის ასეთი პირობები და, ამ მხრივ საჭიროა ყურადღება მიექცეს გაზეთის გავრცელების საქმეს გლეხთა მოსახლეობაში და ქალაქების, მაზრებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში.

ყველა მომუშავე წითელ-ლაშქრელმა უნდა დაივალოს თავის თავზე რომ თითო ხელის მომწერი იშოვნოს. რაც შეეხება პარტიულ საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებს, დარწმუნებული ვარ რომ ყველა სიამოვნებით გამოიწერს თავის სიამაყის, წითელი ლაშქრის ბეჭდვითი ორგანოს და ბოლოს შეიძლება კვირეული კომპანია ჩავატაროთ და ამ რიგათ გავავრცელოთ ჩვენი გაზეთი. ყველა მივარდნილ პროვინციაში უნდა ისმოდეს გაზ. „წით. არმიელის“ ხმა, მუშამ და გლეხმა უნდა გაიგოს თუ რას აკეთებენ მისი შვილები, როგორ გრძნობენ თავს წითელ ლაშქარში. ყველა სიამოვნებით გამოგვეხმაურება— ყველა პატიოსანი მოქალაქე ხელს შეგვიწყობს გაზეთის გავრცელების საქმეში. განა პირველი მაგალითისათვის არ კმარა ის, რომ ხარაგოულის აღმასკომი და მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივი იწერს ჩვენ გაზეთს და მომავალში მის გავრცელებასაც გვპირდება!? ამხანაგებმა, როდესაც უთხარი რომ ჩვენი გაზეთი გამოეწერათ—კიდეც მისაყვედურეს, რატომ დღემდის არ ვიცოდით თუ შეიძლებოდა გამოგვეწერა. და რამდენი „ხარაგოულია“ ჩვენ რესპუბლიკაში!?

ჩვენი გაზეთი უნდა გახდეს ხელმისაწდომი ფართო მასისათვის—ჩვენი გაზეთი უნდა გავრცელდეს.

მ. ქ—ლი.

## რაზედ სწერენ გაზეთები

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტის მიზეზი, როგორც ვიცით, იტალიის სამხედრო წარმომადგენლობის წევრების მოკვლაა. ამან გამოიწვია იტალიის მიერ სამხედრო მოქმედების დაწყება საბერძნეთის წინააღმდეგ.

ამ მდგომარეობას აღარებს ამხ. ნ. ბუხარინი გაზ. „ზარია ვოსტოკ“-ში ამხ. ვოროვსკის მოკვლას და საბჭოთა ფედერაციის პასუხს ამ საზიზღარ საქციელზე.

„როგორ მოქმედებდა მაშინ საბჭოთა მთავრობა? ომი გამოუცხადა? სროლითვე უპასუხა? არა. მშვიდობიანობის გულისათვის ის დათმობაზე წავიდა. მიუხედავად შვეიცარიის ხელისუფლების არამზადობისა, იგი არ შეხებია არც ერთ ბეწვს, არც ერთ შვეიცარიელის თავზე, რათა აეცილებინა კაცობრიობისათვის თუნდაც მუქარა ომისა. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები ყველაზე უფრო აფასებენ მშვიდობიანობას, მშვიდობიან— შრომას.“

ასე მოიქცა საბჭოთა კავშირი ერთ ერთ საუკეთესო კომუნისტის მოკვლის შემდეგ.

„ეხლა კი შეხედეთ როგორ მოქმედებენ „ისინი“, ბურჟუაზიულ სამინისტროების კულტუროსანი ვაჟბატონები. მოკლეს იტალიელი პოლკოვნიკი, რომელიც ცივილიზაციის სახელით სხვის მიწებს „ანაწილებდა“. პასუხად ამისა იტალიამ გაუგონარ სისწრაფით დაიწყო სამხედრო მოქმედება საბერძნეთის წინააღმდეგ.“

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტმა აგრეთვე გამოაშკარავა ერთა ლიგის სრული უძლურობა და უსუსურობა.

„კვლავ აშკარავდება ერთა ლიგის უძლურობა. ლორდ სესილი აცხადებს „საფუძვლების რყევის“ შესახებ, რადგან იტალიელ მუსოლინისტებს არც დიდათ ეშინიკათ ინგლისელ ლორდების რჩევის ასრულება.“

შემდეგ ამხანაგი ბუხარინი ეხება გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობას და თუ რა მოყვება გერმანიის რევოლიუციას.

„მსოფლიო ყაჩაღები მთელ ძალღონით დაეცემიან აჯანყებულ პროლეტარიატს. და თუ მის დარბევას მოახერხებენ, სინჯავენ თავდასხმას ჩვენს კავშირზედაც... მაგრამ საბჭოთა კავშირი და მისი მთავრობა უკანასკნელ წუთამდე დაიცავს მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ იგი არასოდეს არ დაუშვებს, რომ გერმანიის პროლეტარიატის გვამზე ფეხგადაბიჯებულმა საფრანგეთის მევახშეებმა თოკი წაუჭირონ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს. საბჭოთა რესპუბლიკები მედგრად დაიცავენ პროლეტარულ რევოლიუციის ძლევამოსილების ზღუდეს.“

## ტელეგრამები

— **სტოკჰოლმში შესდგა იაპონიის საზოგადოებრივი დახმარების კომიტეტის ორგანიზაცია.**

— **წყნარ ოკეანეზე მზადაა დობროფლოტის 10 გემი, რომლებიც მალე დაიტვირთებიან და გაიგზავნებიან იაპონიის სანაპიროებზე.**

## მიწის ძვრა იაპონიაში.

პირველი ოფიციალური ცნობა იაპონიიდან.

იაპონიის წარმომადგენლობამ პეკინში მიიღო პირველი ოფიციალური ცნობა იაპონიიდან, რომელიც იტყობინება ქ. იოკოგამის სრულ განადგურებაზე. ტოკიოში დაიღუპა 200,000 სახლი.

**კუნძულ ოშიმას და ნახევარ კუნძულ იდცუს გაქრობა.**

ოსაკიდან მიღებულ სხვა ცნობების თანახმად სრულად ჩაიკარგა თავის მცხოვრებლებით კუნძული ოშიმა და ნახევარ კუნძული იდცუ. იოკოსუკის ნავთსადგურში დაიღუპა რამოდენიმე სამხედრო გემი. ცეცხლის გაჩენის გამო გაიქცა ყველა ტუსაღები იოკოგამის საპყრობილედან.

**უგზოუკვლოდ დაიკარგა სახალხო განათლების და იუსტიციის მინისტრები.**

არავითარი ცნობები არ მოიპოვება სახალხო განათლების და იუსტიციის მინისტრების შესახებ.

**იაპონია დაიმშა.**

იაპონიიდან უკანასკნელად მიღებული რადიო ცნობები იუწყებიან იაპონიაში სასურსათო მდგომარეობის უნუგეშობის შესახებ.

**ვულკანების მოქმედება გრძელდება.**

იოკოგამს და ტოკიოს შორის შეწყვეტილია ყოველგვარი დამოკიდებულება. გრძელდება რამოდენიმე ვულკანების მოქმედება. იოკოგამში განადგურებულია ორი გემების ამშენებელი ქარხანა და დოკები. დაიღუპა ყველა ოკეანის გემები.

**ტოკიო წყლით ივსება.**

ოსაკიდან მიღებულ ცნობებით ზღვის დონის სიმაღლის ზრდის გამო ტოკიო წყლით იფარება. ტოკიოში დაიწვა ყველა გაზეთების საგამომცემლოები.

**500 ათასი მკვდარი და 3,000.000 დასახიჩრებულია** უკანასკნელი ცნობების თანახმად სულ დაიღუპა 500.000 კაცი და დასახიჩრდა 3 მილიონი. ტოკიოსა და იოკოგამის რაიონებში მიწის ძვრა გრძელდება. ხარბინში მყოფ იაპონიის წარმომადგენლის ცნობით მიწის ძვრის ცენტრს წარმოადგენს კუნძული (დამახინჯებულია სახელი), საიდანაც მიწის ძვრა ვრცელდება ტოკიო იოკოგამა და სხვა ქალაქებზე.

# ჩვენი ძვირფასი სტუმრები



ამხ. სმირნოვი.
რ. ს. ფ. ს. რ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი.

ამხ. კრილენკო.

**მიწის ძვრის რაიონი 500.000 კვად. კილომეტრია.**

მიწის ძვრის რაიონი 500.000 კვად. კილომეტრს უდრის. ამ სივრცეზე განადგურებულია 70 ქალაქი და სოფელი. ზოგიერთ ადგილებში მიწა იმდენად არის დაზიანებული, რომ ნვრეტების სიგანე უდრის ... მეტრს.

ზარალი 5-ჯერ მეტია ... იაპონიის ... გამოწვეულ ... რაოდენობაზე.

**დანგრეულია და განადგურებულია თითქმის ყველა სახელმწიფო წარმომადგენლობანი.**

იაპონიური გაზეთის „თსაკის" ცნობით, ტოკიოს დიპლომატიურ უბანში დაიწვა საფრანგეთის წარმომადგენლობის შენობა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სეკრეტარიატი, დანგრეულია შენობები ამერიკის, ჰოლანდიის, და ჩინეთ ინგლისის წარმომადგენლობის შენობები. დაზიანებულია გერმანიის, პოლონეთის, შვეიცარიის ... -სლოვაკიის წარმომადგენლობის შენობები.

**იაპონიის ოქროს მარაგი განადგურდა.**

ამერიკის ადმირალის, ანდერსენის ცნობით, იაპონიის ოქროს მარაგი დაიღუპა, რადგანაც ყველა განძი საცავები სახაზინო ბანკის შენობით აღგვილ იქნა სრულიად.

**ნაძალადევი მსხვერპლები.**

... და მიხონის ... ცნობით, ფაბრიკანტმა ... 1500 მუშა, რომელიც ... მომა... ... იქნა ფაბრიკაში ამ უკანასკნელის მეპატრონის მიერ, სადაც დაიღუპნენ მიწის ძვრის დროს.

**საუბარი იაპონიის ელჩის მდივანთან პოლონეთში.**

რუსტას თანამშრომელთან საუბარში, იაპონიის ელჩის მდივანმა პოლონეთში საჯაროდ აცნობა, რომ ტოკიო დაზარალდა მხოლოდ დაბლობ ადგილებში, სადაც გადარჩა მხოლოდ ერთი კვარტალი, აშენებული ამერიკანულ სისტემის ცის მაწვრავებით. ნაწილი, რომელიც მოთავსებული იყო მთლობებზე, დაზიანებულია.

**ფლოტი და ტრანსპორტი დაუზიანებელია.**

იასაკიმ დაადასტურა, რომ ოქტოს მარაგი იაპონიისა მთელი და უვნებელია, ისე როგორც ფლოტი და ტრანსპორტი.

**მძიმე მრეწველობა დაცულია.**

იაპონიის სამრეწველოს ცენტრი ... უვნებელია. გადარჩა მძიმე სამრეწველო, ნაწილობრივ მეტალის დამმუშავებელი და ნახშირის, რომლებიც მოთავსებული იყვნენ კუნძულ კიუ-სიუზე—სამხედრო ფლოტიც გადარჩა. იასაკი ჰფიქრობს, რომ დანგრეულ შენობათა აღსადგენად საჭირო იქნება შედარებით ნაკლები ფული, ვინემ ზოგიერთი გაზეთები გვაცნობებენ.

**დამოკიდებულება იაპონიასა და რუსეთს შორის უმჯობესდება.**

იასაკიმ განაცხადა, რომ დამოკიდებულება იაპონიასა და რუსეთს შორის უნდა გაუმჯობესდეს. ახალი მთავრობა დააყენებს დიპლომატიის საქმეს რეალურ ნიადაგზე და ... ხელს შეუწყობს ცხოვრ. პირობების ...

იასაკი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში მოსკოვში მოვა იაპონიის ოფიციალური წარმომადგენელი.

**იაპონიის კატასტროფა გააძლიერებს შეერთებულ შტატებს.**

სავაჭრო წრეების პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეებში ფიქრობენ, რომ იაპონიის კატასტროფა გააძლიერებს შეერთებული შტატების ძლევამოსილებას, ვინაიდან იაპონიას არ ექნება საშუალება იბრძოლოს წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის.

**დახმარების კომიტეტი.**

სტოკჰოლმში, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, შედგა პოლიტიკურ მოღვაწეთა კრება. ირჩიეს საკითხი იაპონიის ...

ნადაბურით—გაგზავნილ იქნას იაპონიაში იქ მყოფი გემი სურსათით.

**დობროფლოტი მზადაა.**

როსტის თანამშრომელთან საუბარში დობროფლოტის თავმჯდომარემ ხარკოვმა სთქვა: „წყნარ ოკეანეზე დობროფლოტს აქვს 10 გემი 20.000 ტონაჟი ტვირთით, რომლებიც ცენტრალური ... პირველ ცნობისთანავე დატვირთულები გაემგზავრებიან იაპონიის სანაპიროებზე.

**იაპონიის ხალხი გადაუხდის რუსეთის ხალხს სტიქიურ განსაცდელში ...**

8 სექტემბერს მოსკოვში მყოფ დელეგაციის ნაწილი, რომელიც 14 ... უნდა გაემგზავროს იაპონიაში, გამგზავრების წინ დელეგაციის წევრმა ... განაცხადა: „ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რათა გავაცნოთ იაპონიის ხალხს, რუსეთის ხალხის სტიქიურ განსაცდელებაზე, დაზარალებულ იაპონიის მოსახლეობისადმი სასწრაფო და ფართე დახმარების შესახებ.

**რუსეთისა და ჩინეთს შორის დაახლოვება აუცილებელია.**

... ხანში მოსვლისთანავე, ... იქნა საუბარი ... რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის ჩინეთის დელეგატის, ... მიერ, ... ჩინეთის ... მიუთითა რუსეთ ჩინეთის დაახლოვების აუცილებლობაზე. ამ დრომდის ჩინეთს ჰყავდა ერთგული მეგობარი ამერიკის სახით. ... ის ცდილობს იპოვოს ასეთივე მეგობარი რუსეთში.

... ნოტაში ... მიუთითა, რომ ... ჩინეთს და რუსეთს ... ერთი ფრონტი ...

რომ რუსეთი უარს აცხადებს ამერიკის ჩინეთის პოლიტიკაში, არას დროს ხელს არ მოაწერს ასეთ დოკუმენტს, როგორიც არის მოკავშირეთა ნოტა ... ინციდენტის შესახებ და არ ექნება პრეტენზიები ექსტრიტორიის მიღებაზე სასამართლოში ... პრინციპი, რომელიც უდევს საფუძვლად რუსეთის ჩინეთთან დამოკიდებულებას—არის სრული ძმობა და თანასწორობა ამ ქვეყნებს შუა.

**რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა მნიშვნელოვანია ინგლისისათვის.**

ერთ-ერთ მსხვილ ბანკის—საამშენებლო მრეწველის ლორდ-ვეერის განცხადებით, უკანასკნელ წლის განმავლობაში გლაზგოს ნავთ-სადგურში გატარებულ იქნა 8 მილიონი ტონი ტვირთი, იმ დროს როცა 1913 წელში გატარდა 10 მილიონი.

გემთა აშენების ოპლის საქმე კრიზისში ამ წელში არ აღემატება 1888 წელში წარმოებულ გემთა აშენებლობის საქმეს. ამასთან დაკავშირებით „... “ მიუთითებს ფრიად დიდ მნიშვნელობაზე ინგლისისათვის რუსეთთან ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენაზე.

**რუსეთის ემიგრანტები.**

რ. ს. ს. ... დელეგაციის კოპენჰაგენში მისვლა დღიურ შემთხვევად იქცევა.

გაზეთის დელეგაციის წარმომადგენლთან დანიის ჟურნალისტები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ დელეგაციის დამოკიდებულებით რუს ემიგრანტებთან დანიაში.

ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობამ დააკმაყოფილა დანიის ჟურნალისტები. აშკარაა რუსეთის ემიგრანტებმა თავი შეაწყინეს დანიის ხალხსა და მთავრობას.

# სარწმუნოება და ღმერთი.

(გაგრძელება)

11.

პირველყოფილი ადამიანი ვიწრო თვალთა ხედვით გაცნობილი არის ყოველგვარ შეგნებისაგან ... ბუნების მოვლენებს ... [illegible]

ყანა წარმოედგინათ, როგორც ერთი დიდი მხოლოდ ... როგორც ... წინაპრის წარმოდგენაში ... ლოდ დიდი ხე იყო. [illegible]

[illegible]

... როგორ სხვოსანი იყო. ამისთვის ... [illegible]

გ. ბაბუაშვილი.

ბზე უნდა დაამზადონ საქ. სასურსათო კომისარიატისათვის.

**ქლექის წინაღმდეგ.**

ქობულეთში, ქლექის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებულია საავადმყოფო. საავადმყოფოს შეუძლიან მოათავსოს 50 ავადმყოფი.

**ქიმიური ტეხნიკუმი.**

მე-20-ე ტფილისის ტეხნიკუმი (ყოფ. მე-3-ე ქალთა გიმნაზია) გადაკეთდა ქიმიურ ტეხნიკუმად.

**სახალხო სახლის თეატრი.**

სახალხო სახლის თეატრის საზამთრო სეზონი დაიწყება 7 ოქტომბერს.

**რუსთაველის თეატრი.**

ქართული დრამის სეზონის გახსნა განზრახულია სექტემბრის შუა რიცხვებში, რის გამო მუშაობა სწარმოებს დაჩქარებით რუსთაველის თეატრის შეკეთების დასამთავრებლად.

**დირიჟორი სტოლერმანის დაბრუნება.**

ცნობილი დირიჟორი სტოლერმანი, რომელიც წარსულ სეზონში იმყოფებოდა ბაქოში, მომავალ სეზონში მოწვეულია ტფილისის სახელმწიფო ოპერის დირიჟორად.

**სახალხო სახლის იუბილე.**

სახალხო სახლის დაარსებიდან 30 წლის შესრულების გამო განზრახული იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო ზაფხულში, გაიმართება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

**უმუშევართა მოძრაობა.**

7 სექტემბერს, შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა—593 კაცი. ახლად არავინ ჩაწერილა, სამუშაოზე გაიგზავნა—60 უმუშევარი.

**ოქტომბრის რევოლიუციის ალბომი.**

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის აღსანიშნავად მოსკოვში გამოვა ალბომი, რომელშიაც ხუთი გვერდის დათმობა ითხოვა ტფილისის ქალ. აღმასკომმა, და რომლის საფასურადაც გაიღო 5 ჩერვონეცი.

**გორის აღსადგენათ.**

გორისა და მისი მიდამოების აღსადგენად საქ. სახ. ბანკმა გადასდო 500 მ. ოქროთი.

**შრომის თავისუფლების დაქირავების წინააღმდეგ.**

შრომის კომისარიატს განზრახვა აქვს ახლო ხანში მოაწყოს შრომის თავისუფალი დაქირავების საწინააღმდეგო კვირეული, უმუშევრობის შემცირების მიზნით.

**ჯარიდან განთავისუფლებული უმუშევრები.**

7 სექტემბერს მოხდა ჯარიდან ვადით შეღავათებით განთავისუფლებულ უმუშევართა წმენდა. 51 უმუშევართაგან შრომის ბირჟაში ჩაირიცხა 26 კაცი საერთო უფლებით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**მიწის ზედაპირის შეცვლა.**

მიღებულ ცნობებიდან ჩანს, რომ იაპონიაში მომხდარ მიწის ძვრის დროს მრავალი დასახლებული კუნძულები შთაინთქა ზღვის უფსკრულში და მრავალიც ხელ-ახალი კუნძულები გამოჩნდა ზღვის ზედ პირზე. ასეთი შეცვლა დედა-მიწის ზედაპირისა ჯერ კიდევ დედა-მიწის ისტორიის უხსოვარ დროში ხდებოდა უფრო კოლოსალურობით.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც გეოლოგებმა მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ ატლანტიკური ოკეანეს ფსკერზე მიემართება მთელ დედამიწის ზურგზე არსებულ მთაგრეხილებში უმაღლესი მთაგრეხილიო, რომელმაც დაიწია ზღვის სიღრმეში ოდესღაც მომხდარ მსოფლიოს კატასტროფიული შერყევის დროსო. ხსენებული მთაგრეხილი გაწოლილია ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანიდან დაწყებული სამხრეთ ყინულოვან ოკეანემდე და თავს იჩენს ზღვის ზედაპირზე ოკეანეში აქა-იქ გაბნეულ კუნძულების სახით, როგორიც არის მაგალითად: ისლანდიის, ფარერის და აზორის და სხვა კუნძულები.

მეცნიერების გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ უხსოვარ დროში ეხლანდელი ამერიკა და ევროპის ნახევარი კუნძული შეერთებული ყოფილა ხმელეთით, რომელიც ჰფარავდა ატლანტიკური ოკეანის უზარმაზარ სივრცეს. თუ რამდენად დიდია ეს მანძილი იმით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ევროპიდან ატლანტიკურ ოკეანეზე მოგზაურობას, ყველაზე უფრო ჩქარა მცურავ გემით ამერიკაში მისვლას ერთი კვირა სჭირდება.

მაგრამ დედამიწის ეს ნაწილი ჩაეშვა ზღვის უფსკრულში, ხოლო მისგან დარჩა ზემოთ ჩამოთვლილი კუნძულები.

**22 საათის განმავლობაში დედამიწის ირგვლივ.**

ქ. ტოკიოს დანგრევა იაპონიაში, ხელს შეუშლის ჰაეროპლანებით საერთაშორისო მიმოსვლისათვის გზის განმტკიცებისა. განზრახული იყო შემდეგი მარშრუტის შექმნა დედამიწის გარშემო ფრენით შემოვლისათვის: — პარიზი, ნიუ-იორკი, სანფრანცისკო, ტოკიო და ბომბეი.

ცნობილი ფრანგი კონსტრუქტორი დუნ ბრუნგე, რომელმაც აღნიშნა ეს გზა—მარშრუტი, მიუთითებს, რომ 4—5 წლის შემდეგ თვითმფრენის საშვალო სიჩქარე მიაღწევს 440—500 კილომეტრამდე საათში, ხოლო შემდეგ იმ პირობით რომ ფრენას აწარმოებენ 13.000 მეტრის სიმაღლეზე, ფრენის სიჩქარე აუცილებლად მიაღწევს 800 კილომეტრს საათში. როდესაც შესაძლებელი გახდება ფრენის სიმაღლის 13.000 მეტრ. ხოლო 1200 კილომეტრ. ფრენის სიჩქარის მიღწევა საათში, მაშინ შესაძლებელი იქნება დედამიწის ირგვლივ ფრენით შემოვლა ზემოაღნიშნული მარშრუტით 22 საათის განმავლობაში.

**ფრენის წარმოება ღამით.**

ლონდონ-პარიზის საჰაერო ხაზზე შემოღებულია ჰაეროპლანების ღამით ფრენა. ჰაეროპლანებს თან დაჰყავთ მგზავრები. ამას წინათ დაიწყო ფრენა ფარმანის სისტემის აპარატმა, რომელიც სრულიად მოწყობილია. ჰაეროპლანი იტევს 13 მგზავრს. გარდა ბუნებრივი განათებისა შიგნით, აპარატი აღჭურვილია წითელი და მწვანე ელექტრონული სიგნალებით, რომელიც მოთავსებულია მის ფრთებზე და კუდზე. ორი ძლიერი ელექტრონის პროჟექტორი, რომლებიც მოთავსებულია მგზავრებისათვის დანიშნულ კაბინის ქვეშ, გზას უნათებს პილოტს ფრენის დროს. ელექტრონულ ენერგიას აწარმოებენ პროჟექტორები იღებენ ჰაეროპლანის ფრთებზე მოთავსებულ ქარის წისქვილისაგან, რომელიც მოძრაობს ფრენით გამოწვეული ჰაერის ტალღების მოძრაობით.

აპარატის ფრთების ქვედა კიდურებზე მოთავსებულია ოთხი მაგნის ჩირაღდანი, რომლებიც პილოტის ძირს დაშვების დროს ინთება ელექტრონული ნაპერწკლით. ასე რომ ღამით ძირს დაშვება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამნაირად, სრულიად მშვიდობიანად და სასურველად გადასწყდა ღამით ჰაეროპლანების ფრენის საკითხი, რომელიც წინათ დიდ საშიშროებას იწვევდა.

ღამით ორი კვირის ფრენის პრაქტიკამ სრულიად ნათელ ჰყო ის გარემოება, რომ აღნიშნულ საშვალებების მოხმარებას ღამით ფრენაში არავითარი უბედურება და ცუდი შედეგები არ მოუტანია.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გვიგვეთ რომ შეიძლება თქვენი გაზეთის გამოწერა,—გვიგზავნეთ თითო ეკზემპლიარი ხარაგოულის აღმასკომის სახელზე. ვეცდებით გავავრცელოთ მცხოვრებლებში. დეე, გაიგოს გლეხმა, რომ მის შვილს, დღეს წითელ ლაშქრელს, საკუთარი გაზეთიცაა აქვს. დეე თავის თვალით წაიკითხოს და დარწმუნდეს რომ მის შვილს რევოლიუციონურ იდეებს უნერგავენ ხელმძღვანელები და მის გათვითცნობიერებისაკენ მიისწრაფვიან.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების ლაშქარს

გაუმარჯოს მის გაზეთს „წითელ-არმიელს".

ხარაგოულის აღმასკომის თავმჯდომარე ი. შარიქაძე.

ამხ. რედაქტორო!

ჩვენ დღემდის არ ვიცოდით თუ შეიძლებოდა გაზ. „წით. არმიელის" გამოწერა, გავიგეთ რა რომ ეს შესაძლებელია დიდის სიამოვნებით ვიწერავთ თქვენ გაზეთს. გვიგზავნეთ ყოველდღიურად ხუთ ხუთი ცალი, ამასთანავე გიგზავნით ხვედრ ფულს. მომავალში ვეცდებით კიდევ მეტი გავავრცელოთ. სალამი წითელ არმიის—წითელ ბეჭდვითი ორგანოს.

ამხანაგური სალამით ხარაგოულის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების თავმჯდომარე,

**ი. ფოფხაძე**

რედაქცია ესალმება ამხანაგების ნაბიჯს. ეს პირველი მაგალითია ჩვენი გაზეთის პროვინციაში გავრცელების.

რედაქცია მადლობას უცხადებს ზემო აღნიშნულ ამხანაგებს და იმედი აქვს რომ ცოტა ხნის განმავლობაში მათ მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ და ჩვენი გაზეთი შეიქმნება მუშების და გლეხების საყვარელ გაზეთად.

იმედია ამ გამოძახილს გამოეხმაურებიან პარტიული და საბჭოთა დაწესებულებები.

**რედაქცია.**

## ომი და ჯარის აღზრდ. განვითარება.

(გაგრძელება)

იმისათვის, რომ წითელ არმიელს ჩაუნერგოთ და განვუმტკიცოთ ზნეობრივი გრძნობანი, საჭიროა უპირველესად ყოვლისა, შევაგნებინოთ ამ გრძნობების უპირატესობა და აუცილებლობა, თუ შევძლებთ მოვალეობის შესრულების გრძნობის ჩანერგვა, ეს მეტად შეგვეშველება სხვა გრძნობების განმტკიცებაში.

მართლაც, თუ მეომარს მტკიცედ შეგნებული და განმტკიცებული აქვს მოვალეობის შესრულების გრძნობა, ის ყოველთვის მაგრად დახვდება მტერს, ამხანაგსაც დახმარებას გაუწევს, ყოველგვარ გაჭირვებასაც აიტანს და სხ.

ამის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. თუ წითელარმიელი ჰხედავს, რომ მეთაური, რომელიც მოვალეობის უმწიკვლო შესრულებაზედ ლაპარაკობს, თვითონ კი დროზედ არ მოდის სამსახურში, არ მეცადინეობს წესიერად და სხვა, ერთი სიტყვით პირნათლად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ცხადია, ის ვერ გაიმსჭვალება მოვალეობის შესრულების გრძნობით. პირიქით, თუ ის თავის უფროსში ჰხედავს მოვალეობის შესრულების უმწიკვლო მაგალითს, უეჭველია, თვითონ მიჰბაძავს თავის უფროსს, და, უფროსის მოვალეობა მხოლოდ განამტკიცოს წითელ-არმიელში ეს გრძნობა.

ზეპირ გადმოცემულ მაგალითსაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ისიც ხელს უწყობს ზნეობრივ თვისების განმტკიცებას.

წარმოიდგინეთ, თქვენ უამბეთ წითელ-არმიელს, თუ რა შედეგი მოჰყვა საველე ყარაულში გუშაგის დაძინებას, ე. ი. გუშაგის მიერ თავის მოვალეობის შეუსრულებლობას. ვსთქვათ, ეს შედეგი იმაში გამოიხატა, რომ საველე ყარაულს მიეპარა მოწინაალმდეგის პატარა ნაწილი, შეუმჩნევლად დაეცა მას, ნაწილი საველე ყარაულისა დახოცა და ნაწილი ტყვედ წაიყვანა, მათში ჩვენი გუშაგიც. რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ნაამბობი მაგალითი წ. არმიელზედ? თუ მას მოუხდა საგუშაგოზედ დადგომა, გაიხსენებს რა ზემოხსენებულ მაგალითს, ეცდება ფხიზლად მოექცეს საქმეს ე. ი. პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ზნეობრივი თვისებების განმტკიცება შეიძლება წაქეზებით, დაჯილდოვებითაც, პირიქით დასჯითაც. თუ სამხედრო პირმა გამოიჩინა ხალისი და საქანადო უნარი სამსახურის შესრულებაში, შეგვიძლიან იგი დავაჯილდოვოთ რაიმე ნივთით თუ ნიშნით, ან წავაქეზოთ სიტყვიერათ. პირიქით, თუ მოვალეობა პირნათლად არ შეასრულა სამხედრო პირმა, შეიძლება დავსაჯოთ, ან სიტყვიერათ ამხანაგებში გაკიცხვა გამოუცხადოთ, ან რაიმე სასჯელი მივანიჭოთ, რომ შემდეგისათვის აღარ გამეორდეს უზნეო საქციელი. ადამიანს აქვს სურვილი სახელის მოხვეჭისა, მას ესიამოვნება, როდესაც მის სახელს პატივისცემით ახსენიებენ, ამითაც შეგვეძლიან ვისარგებლოთ ზნეობრივ თვისების განსამტკიცებლად. სამხედრო პირების სახელი და გვარი, რომელნიც პირნათლად და უმწიკვლოდ შეასრულებს თავის მოვალეობას, საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ ყველამ იცოდეს მისი საგმირო საქმენი და ყველა პატივისცემით იხსენიებდეს მის სახელს. კიდევ ბევრი წვრილმანი საშუალება ნი შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა, მაგრამ შორს წაგვიყვანს. ერთი უნდა აღვნიშნოთ, საშუალება ზნეობრივ თვისების ჩასანერგავად და განსამტკიცებლად ბევრია, მხოლოდ უნდა ჩაკვირვება და სინდისიერი მოქცევა წითელ არმიელის აღზრდა განვითარების საქმეს. ამით გავათავებთ ზნეობრივ თვისებაზედ ბაასს და გადავალთ გონებრივ თვისებაზედ. რა არის გონებრივი თვისება ადამიანის ვგონებ, ყველას კარგად ესმის. თითო სიტყვაც კი გვ ჩვენებს.

უფრო საინტერესოა გამოვარკვიოთ, როგორ უნდა განავითაროთ სამხედრო პირში ეს თვისება. ყველა დამეთანხმება, რომ უპირველეს საშუალებად უნდა ჩავთვალოთ წერაკითხვის ცოდნა. თუ წითელ არმიელი წერაკითხვის მცოდნეა, ის ბევრს საკითხებს გამოარკვევს წიგნების საშუალებით და ამრიგად გონებაც გაეხსნება მას და განუვითარდება კიდეც. მაგრამ იმის გარდა, რომ წერა-კითხვას ვასწავლით, ჩვენც უნდა შევეცადოთ გამოვარკვიოთ იგი ისეთ საკითხებში, რაც მას შეძლებას მისცემს შეგნებით უყუროს და დააფასოს, როგორც ბუნებრივ ისე საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენანი და მოჰკიდოს ისეთ წიგნებს ხელი, რომელიც მას გონებას გაუხსნის და არა დაუხშობს. ამისათვის საჭიროა აუხსნათ რა არის ქვეყნიერება, დედამიწა, ჭექა-ქუხილი და სხვა ბუნებრივი მოვლენანი. რომ მას არ დაეხშოს გონება ისეთი ზღაპრებით, როგორიც, მაგალითად, ჭექა-ქუხილზეა, რომ ეს წმინდა ილია ეტლით დასეირნობს ცაში და სხვა. ამის გარდა საჭიროა წითელ არმიელმა იცოდეს, ვინ არის თვითონ, რათ მოსწვიეს ჯარში, ვის ემსახურება იგი, რას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა და სხვა. ეს მისცემს მას საშუალებას შეგნებულად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

შეიგნოს მიზანი თავის სამსახურისა ე. ი. თავის მოქმედებისა. ეს უკანასკნელი რევოლიუციის მონაპოვარია და დიდი უპირატესობაც არის და მინდა ცოტა ხნით შევაჩერო მკითხველის ყურადღება ამ მოვლენებზედ. უწინ ჯარისკაცისათვის, რომ გეკითხნათ, მაგალითად, სამწყობრო მეცადინეობის დროს, რათ აკეთებთ სხვა და სხვა ილეთებს თოფით, თუ გულწრფელი პასუხისგაცემა უნდოდა, აუცილებლივ გიპასუხებდათ, უფროსებმა ასე ბრძანესო. ე. ი. სხვანაირათ, რომ ვსთქვათ, მან არ იცოდა მიზანი თავის მოქმედებისა და აკი მის მოქმედებას მექანიკური ხასიათიც ჰქონდა. რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცარიზმის უკანასკნელი ხანა.

**ლ. გ.**